

## პეტიტორ სეპარტი და 50 პასპორტი


### ფედერაციამ პარაუდი დაგვიდასტურა: იზანკოვიჩის არა

საქმეს საბოლოოდ წერტილი არ დას-  
მია, მაგრამ როგორც ჩანს, საქართველოს  
ეროვნულ ნაკრებს ესტონეთთან და პორ-  
ტუგალიასთან ამხანაგურ მატჩებში 21-წლა-  
მდელთა ხორვატი თავკაცი პეტარ სევერტი  
გაუძღვება.

სევერტი, ფეხბურთის ფედერაცია და ვო-  
ნებთ, მთელი საქართველო ბრანკო ივან-  
კოვიჩის პასუხს ელოდა, თუმცა მისი ჩვენს  
ეროვნულ გუნდში გათავაკცების საქმე გუ-  
შინ საბოლოოდ ჩაიშალა და ქართული  
ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ახალგაზ-  
რდული ნაკრების მწვრთნელს უთხრა, მო-  
ემზადეო. კაცმა რომ თქვას, ივანკოვიჩის  
ვარიანტის ჩაშლა მოსალოდნელიც იყო  
— ბოლო ერთი კვირის ამბებს თუ გავიხ-  
სენებთ, ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა და  
რამდენიმე დღის წინ ჩვენც ვივარაუდეთ.

გუშინ კი ნაკრებ გუნდთა მენეჯერმა  
თამაზ ბოკერიამ გვითხრა, საესტონეთოდ  
50 ფეხბურთელის პასპორტი შევაგროვეთ  
და ვიზებს ვუკეთებთ, ოღონდ ამათგან ვინ  
იქნება ის 22 ფეხბურთელი, ტალინში რომ  
წავა, ჯერ გადაწყვეტილი არ არისო.

ამის მერე პეტარ სევერტს დავურეკეთ,  
რაკი ლოგიკურია, რომ ეროვნული გუნდის



მთავარი მწვრთნელის არყოფნაში ნაკრების  
გაძლიერება მას ეთავა. ასეც იყო — რომ  
შევეხებინათ, ეროვნული ნაკრების გაფარ-  
თოებულ შემადგენლობას ჩაკვირკიტებდა,  
ესტონურ-პორტუგალიური რაზმის შეკვრა

ფედერაციამ სწორედ მას დაავალა...

— ბრანკო ივანკოვიჩის ვარიანტი ჩაი-  
შალა და ეროვნული ნაკრების გაძლი-  
ერებას მომავალ მატჩებში ფედერაცია,  
ალბათ, თქვენ მოგანდობთ...

— ეს ამბავი საბოლოოდ ჯერ არ გადა-  
წყვეტილია, თუმცა ფედერაციის ხელმძღვა-  
ნელობასთან უკვე მქონდა საუბარი და თუკი  
რამე არ შეიცვალა, ამხანაგურ მატჩებში  
ნაკრებს მე გავუძღვებ.

— კონკრეტულად რა გითხრეს ფედერ-  
რაციაში?

— მთხოვეს, მოემზადეო და ეროვნული  
ნაკრების კანდიდატთა 50-კაციანი გაფართო-  
ებული სააგადმომცეს ესტონეთში წამსვლელ  
ფეხბურთელებს მე შევარჩევ და ვარჯიშე-  
ბსაც ჩავატარებ, თუმცა იმის შესაძლებლობა-  
საც არ გამოვიცხადე, რომ 27 მაისამდე ფე-  
დერაციამ ახალი მწვრთნელი მონახოს.

— გამოდის, დიდი გამოწვევა მიიღეთ  
ფედერაციისგან...

— ადრეც ვთქვი, რომ ეროვნული ნაკ-  
რების ამხანაგურ მატჩებში გაძლიერება ჩე-  
მთვის დიდი პატივი იქნებოდა. ამისთვის  
მზად ვიყავი, მაგრამ იმაზე არ მიფიქრია,  
მთავარი მწვრთნელის პოსტზე დავრჩენი-  
ლიყავი. საქართველოს ნაკრებს უფრო სა-  
ხელიანი მწვრთნელი სჭირდება და მჯე-  
რა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ღირსე-  
ული კანდიდატის მონახვას მოახერხებს.

ირაკლი პირბაია

## ეროვნული ფინალები

გუშინ რუსთაველი საკალათბურთო  
ჩემპიონატის ფინალის პირველი მა-  
ტჩი გაიმართა, რომელშიც თბილის-  
ის „ავიამ“ რუსთაველის „ენერჯის“  
82:80 მოუგო და ჩემპიონობამდე  
ორი მოგება აშორებს.

ფინალური სერიის მეორე თამაში  
კი ისევ რუსთაველია და დღეს 17 სა-  
ათზე გაიმართება.

კალათბურთში საქართველოს ჩე-  
მპიონის გამოვლენამდე თუ სულ  
მცირე ორი მატჩი კიდევ არის დარ-  
ჩენილი, ხელბურთში ჩემპიონის ვი-  
ნაობის გარკვევას სულ ორი მატჩი  
სჭირდება და ამათგან პირველი გუ-  
შინ ჩატარდა — „სტუ-თელავმა“  
„თბილისს“ 26:24 დაამარცხა.

ჩემპიონატის დებულებით სტუდ-  
ენტებს ჩემპიონობისთვის ერთბ-  
ურთიანი ნაგებაც ჰყოფნით. შესა-  
ბამისად, „თბილისმა“ სამი ან მეტი  
ბურთის სხვაობით უნდა იმარჯვოს.

ეს გუნდები გადამწყვეტ მატჩში  
დღეს, 16 საათზე, არმიის სპორტ-  
ული კლუბის დარბაზში შეერკინ-  
ებიან.

ერთი სიტყვით, რუსთაველიც და  
თბილისშიც დღეს გვარიანი ბრძო-  
ლებია და მაყურებლისთვისაც კარ-  
გი სანახარბა იქნება.

## ჭიანჭურა მესამედ აპოკიდა მადაროელმა უმაღლესი ბათხარა გაბრელთა მესამე უიღბლობა და ერთი ზანსიც



საქართველო

ეროვნული

ინფორმაცია

# ივანკოვიჩის უარი ფედერაცია ფინებს ხვდება და ოლსენს უზღავნის



ბრანკო ივანკოვიჩი  
დამთავრდა ფოლკერ ფინკს  
და მორტენ ოლსენს აწვევდა

**ხორვატმა** ბრანკო ივანკოვიჩმა საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა. როგორც ვწვრდით, ხორვატ სპეციალისტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადების გარდა, სხვადასხვა კლუბებიდანაც აქვს შეთავაზება.

ივანკოვიჩის უარის მიზეზი ნათელი იყო: დრო სჭირდებოდა მოსაფიქრებლად, ეს დრო კი ძალიან გაიწვლა და არც ქართულ მხარეს უნდოდა ლოდინი. ჰოდა, ივანკოვიჩმაც საბოლოო უარი თქვა.


როგორც შევითქვეთ, ივანკოვიჩი, სავარაუდოდ, გერმანულ „კიოლნი“ იმუშავებს, საიდანაც კრისტოფ დაუმი მიდის. ამბობენ, დაუმი თურქეთის ნაკრებს ჩაიბარებს.

და ვინ გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს? დღეს სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე გერმანიაში გაფრინდებიან, სადაც ფოლკერ ფინკს უნდა შეხვდნენ და მოლაპარაკება დაიწყონ. „ფრაიბურგის“ ექსთავაკცი ყველაზე რეალური ვარიანტი ჩანს — მან ადრეც გამოთქვა საქართველოში მუშაობის სურვილი.

დღესვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოფიციალურ წინადადებას გაუგზავნის დანიის ნაკრების მწვრთნელ მორტენ ოლსენს.

და კიდევ, 27 და 31 მაისის მატჩებში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სახელი უკვე ცნობილი იქნება, მაგრამ იგი ამ მატჩებში გუნდს არ გაწვრთნის, ტრიბუნლიდან დააკვირდება ახალ შევირდებს.

## კობა ინასარიძე უსნაური ჯაჭვი: დინამო ტოპიოლარს ეპატიჟება



**ანი**, ამბავი: საქართველოს ნაკრების ყოფილ თავაკცი კლაუს ტოპიოლარს ზაგრების „დინამოში“ ეპატიჟებიან. კლუბის შევი ზდრავკო მაძიჩი გერმანელთან მოლაპარაკებებს აწარმოებს...

და რას უნდა ნიშნავდეს ეს? რაღაც უცნაურად გადაეჯაჭვა ერთმანეთს ბრანკო ივანკოვიჩისა და ტოპის კანდიდატურები.

ხორვატული პრესა ტოპიოლარისა და ივანკოვიჩის გვარებს არ სცილდება — თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაგრების „დინამოში“ ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება, თუმცა იქაური წყაროები იმასაც წერენ, რომ გერმანელი უფრო ძვირი ფუფუნებაა.

ამასობაში, მაძიჩმა (რომელიც ხორვატულ ფეხბურთში ძალიან გავლენიანი ფიგურაა და ამბობენ, რასაც ჩაიფიქრებს, ყველაფერს ასრულებს) და ივანკოვიჩმა ტრიბუნლიდან ერთად უყურეს „ჰაილუკ“ — „დინამოს“ მატჩს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის აწ უკვე ყოფილი კანდიდატი ბლოკნოტში რადაცებს ინიშნავდა კიდევ...

ჰო, ტოპიოლარმა საქართველოდან წასვლის შემდეგ თქვა, ახლა ხანგრძლივი დასვენება მჭირდება... ენახოთ... როგორც ჩანს, ეს ხანგრძლივობა მხოლოდ თვენახევარს თვეს გაგრძელდება.

**ილია ნანოგაშვილი**

### 3 ლაი ოფი

რუსთაში. 18 მაისი. 16.30 საათი. ფოლადი. 1 500 მაყურებელი

#### ბაბრა 2:2დ.დ. (1:43) პალაროელი

0:1 სეფერთელაძე (9), 1:1 დათუნაშვილი (43), 1:2 გამცემლიძე (59), 2:2 თოთაძე (69)

**პენალტის სირიბი:** 0:1 სეფერთელაძე, 0:1 თოთაძე (მეკარე), 0:2 მდივნიშვილი, 1:2 კორიფაძე, 1:3 ეგაძე, 1:3 შარიქაძე (მეკარე), 1:4 ჩხარტიშვილი

**ბაბრა:** ბათიაშვილი, ს. ქაჯაია, ქვრივიშვილი, გ. კვანტალიანი, ლ. თოთაძე, ჩარგვიშვილი, ცხადაია (ლორიფაძე 60), ე. ფილია, ზ. ძაგანია (ხოკერაშვილი 71), შარიქაძე, დათუნაშვილი (აბაშიძე 89) სათადარიგო: ი. ხომერიკი, ტეტუნაშვილი, ი. ხელაძე, ბ. ყიფიანი

**მწვრთნელი:** გიორგი ჭიაბრიშვილი

**მზღბრომილი:** მამარდაშვილი, მგელაძე (ჩხარტიშვილი 51), შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, გ. ილურიძე, გამცემლიძე (მიშველიძე 112), ი. ტყეშელაშვილი, მდივნიშვილი, სევასტოპოლო (ზ. ხაჭიძე 46) სათადარიგო: დოღაძე, ცუცქერიძე, ბიბლაშვილი, მ. სამხარაძე

**მწვრთნელი:** ბადრი ბრეგვაძე

**ბაზრისილი:** ცხადაია (30), ილურიძე (45), ეგაძე (65), ხაჭიძე (83)

**ბაბრა:** ბ. ბრეგვაძე (70, „მალაროელის“ მთავარი მწვრთნელი), მგელაძე (85)

**მსაჯე:** გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, ლ. კვარაცხელია

**დამკვირვებელი:** ი. გუნთაძე, დიმიტრი: კაჭხიძე

## მალაროელმა უპაღლესი პენალტით გადაზოგა რა ელის ბაბრას?

**ნური ლოლაძე რუსთაიდან**

**საკლავიო** მატჩები ყოველთვის დამაბული და საინტერესოა და არც ეს შეხვედრა იყო გამონაკლისი. პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების გამარჯვებულები 120 წუთი ეომნენ ერთმანეთს უმაღლესლიგელის გამოსავლენად.

მატჩი ჭიათურელებმა ცოცხლად დაიწყეს. მე-8 წუთზე ლაშა ეგაძემ შორიდან სცადა გატანა, მაგრამ ზურაბ ბათიაშვილი ბურთს შესწვავდა და კუთხურზე გადაავლო, რასაც გოლი მოჰყვა — მცველებმა უზერიოდ მოიგერიეს ბურთი და გიორგი სეფერთელაძესაც მეტი რა უნდოდა — 0:1.

მე-15 წუთზე იმერლებმა დაცვაში ითამაშეს უყურადღებოდ და ზამორა დათუნაშვილს შეეძლო, დაესაჯა მეტოქე, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა. ახალგაზრდა გაგრელები ბურთს მოძრაობდნენ, კომბინაციებსაც ათამაშებდნენ, „მალაროელს“ კი ბურთი დიდხანს არ უჩერდებოდა.

ტაიმი დასასრულისკენ მიდიოდა... მცველისგან ასხლეტილი ბურთი თითქოს ადვილად უნდა დაემორჩილებინა დაეით მამარდაშვილს, მაგრამ ვეტერანი მეკარე შეცდა და დათუნაშვილმა ცარიელ კარში გაიტანა. მეორე ნახევარში პირველი სახიფათო მომენტი „გაგრა“ შექმნა: ლაშა თოთაძის შორიდან დარტყმულმა ჯარიმამ იმერლებს გული გადაუცივა — ბურთმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

59-ე წუთზე კი „მალაროელი“ კიდევ ერთხელ დაწინაურდა. პაატა გამცემლიძემ მცველი მოიცილა და

საჯარიმოს გარედან აუღებელი დაურტყა ბათიაშვილს — 1:2.

გაგრელებმა ყურები არ ჩამოყარეს და შეტევაზე გადავიდნენ — დათუნაშვილის და ძაგანიას დარტყმები მამარდაშვილმა აიღო.

69-ე წუთზე გაგრელებმა პენალტი მოინადირეს — თამაზ ჩარგვიშვილის აქტიურობისას ბურთი გოჩა ბრეგვაძეს ხელზე მოხვდა და პენალტი თოთაძემ გაიტანა — 2:2.

მალე ჭიათურელთა მწვრთნელი ბადრი ბრეგვაძე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევეს. 77-ე წუთზე კი „გაგრა“ საჯარიმოში საკამათო ეპიზოდი მოხდა, მცველისგან დაბრუნებული ბურთი ბათიაშვილს აეჭრა, ზაჭიძეაძე კი მეკარესთან ორთაბრძოლაში წაიქცა... ჭიათურელები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ.


მალე გიორგი ვადაჭკორიამ კიდევ ერთი კაცით შეათხვლა „მალაროელის“ სათადარიგოთა სკამი — შეცვლილი ოთარ მგელაძე გააწიოლა.

90-მა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და დამატებითი დრო დაინიშნა.

დამატებით დროში ორივე გუნდს შეეძლო გატანა, თუმცა აქამდე საქმე არ მივიდა და დაინიშნა პენალტების სერია, სადაც გამოცდილებამ თავისი ვაკეთა — ზემოიმერლებმა ყველა პენალტი ზუსტად დაარტყეს და მესამედ აღზევდნენ უმაღლეს ლიგაში. „გაგრა“ კი ზედიზედ სამი წელიწადია, პლეი ოფში მარცხდება, თუმცა მათ ყურები არ უნდა ჩამოყარონ — 24 მაისს კიდევ ექნებათ შანსი, წადილი აისრულონ. მათი სავარაუდო მეტოქე ცხინვალის „სპარტაკი“ იქნება...



მიხეილ ჩხარტიშვილის ამ დარტყმამ ჭიათურის „მალაროელი“ უმაღლეს ლიგაში აიყვანა



ნამატჩეს ლალო ნადირაშვილს თანაგუნდელი კოლეგა ზურაბ ჭეაბახია ამუშავებდა

## შევესდი ლალო ნადირაშვილი: ყველაფერი ისე არ მთავრდება, როგორც გინდა...

„ამერი“ — „ზესტაფონის“ სათასო დუელი ამჯერად იმერული სიხარულით დასრულდა. „ზესტაფონმა“, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და თასი დაისაკუთრა. ბუნებრივია, ამერელები ამ მარცხით დამნუხრებულნი არიან, სეზონი ხომ უტიტულოდ ჩააშთავრეს, თუმცა მეკარე ლალო ნადირაშვილს მაინც შევეხმიანეთ და მისთვის ამ ცუდად გასახსენებელ თამაშზე კომენტარი ვთხოვეთ...

— ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც საჭირო იყო. მოსაგები გვექონდაო, ვერ ვიტყვი, შეცდომების გამო წავაგეთ. მე შევეცი...

— ორივე გაშვებულ გოლში ანაშაულეს საკუთარ თავს?

— მეორე გოლი ჩემი ბრალი იყო. ისე, სწორი პოზიცია რომ დამეკავებინა, პირველი ბურთის აღებაც შეიძლებოდა...

— ნერვიულობის გამო? რაც უნდა იყოს, პირველად ითამაშე ფინალი...

— დამაბულობას ვგრძობდი, მაგრამ მარტო ამას ვერ დაეპარალებ. დიდ მეკარეებსაც მოსდით მსგავსი შეცდომები, თუნდაც ფინალებში...

— მწვრთნელმა გიორგი ჩხარაძემ რა გითხრა მატჩის შემდეგ?

— გაგვამხნევა... ფეხბურთია და ყოველთვის ისე არ მთავრდება ყველაფერი, როგორც შენ ვინდა. ჩხარაძემ გვითხრა, ახლა დაწინაურდით, დასკვნებს მერეც ვაკეთებთო...

**ილია ნანოგაშვილი**



მურაბ დოღლაძის მხრიდან ფოტოები



პრემიული ზონის ფოტოები


# ბეჰა გოცირიძე: როგორც იქნა!

„ზესტაფონი“ მეშვიდე კლუბია, რომელიც საქართველოს თასის მფლობელი გახდა. ოთხი წელი ცდილობდნენ იმერლები სანადელის მიღწევას და ეს 16 მაისს აისრულეს. ზესტაფონელთა გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული იყო თავდამსხმელი ბეჰა გოცირიძე, რომლის გატანილი გოლიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. ექსამერელ ბეჰას გუშინ შევებმინათ და თავიდან, ცხადია, გამარჯვება მივულოცეთ...

— ეს „ზესტაფონისთვის“ პირველი ტიტულია. როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია?  
 — ძალიან დიდი ემოცია იყო. მეოთხედ ვიყავით ფინალში და, როგორც იქნა, გავიმარჯვეთ. ჩვენი გულშემატკივარი უზომოდ გავახარეთ.  
 — გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?  
 — მატჩის შემდეგ ბანკეტი გვქონდა და რესტორანში ცოტა მოვიღვინეთ.  
 — თამაშზე რას იტყვი?  
 — ცოტა ჩაკეტილი თამაში იყო, როგორც ფინალს სჩვევია. „ამერმა“ კარგად ითამაშა, ღირსეული მეტოქეა. ცოტა გავვიმარბულა კიდეც, მაგრამ, ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ამდენი წაგებული ფინალის შემდეგ ალბათ გვეკუთვნოდა კიდეც.  
 — ორივე გუნდიდან ვის გამოარჩევდით?  
 — „ამერიდან“ ყველამ კარგად ითამაშა, თუმცა დიმიტრი ტატანაშვილის გამოსვლის შემდეგ მეტად აგრესიულები გახდნენ. დიმიტრი გოლიც ლამაზი გაგვიტანა. ჩვენგანაც მიჭირს ვინმეს გამოარჩევა, ყველამ თავი დალომე დასწავა, მაგრამ როინ ონიანს მაინც გამოვყოფდი — მართლა გვიკაპიტნა. ონიანის გოლის შემდეგ უფრო გავიხსენით და თავისუფლად ავთამაშდით.  
 — შენს გოლზე რას იტყვი? არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოდგა...  
 — პირადად ჩემთვის პირველი ფინალი იყო და მიხარია, რომ გატანა შევძელი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გოლი გამარჯვების იყო და ეს კიდეც უფრო მახარებს.  
 — საქართველოს თასის მოგებასთან ერთად უფრო თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვეთ...  
 — ჩემპიონატში ერთი ტურია დარჩენილი, მერე, ალბათ, ცოტა ხნით დავისვენებთ და უფრო თასისთვის მზადებას სამ კვირაში დავიწყებთ. ვფიქრობ, „ზესტაფონს“ შესწევს იმის ძალა, რომ ორი ეტაპი მაინც გავიაროთ, თუმცა შევეცდებით, მეტიც გავაკეთოთ და არა მარტო ზესტაფონი, არამედ მთელი საქართველო გავახაროთ.



მიხეილ ჟორჯოლიანი

# ზესტაფონური ზეიშის დილა



16 მაისს „ზესტაფონმა“ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ფაზბეგის“ გათამაშების ფინალში 2:1 დაამარცხა თბილისის „ამერი“ და კლუბის ისტორიაში პირველი ტიტული დაისაკუთრა. ფინალურ მატჩს 15 000-მდე ზესტაფონელი გულშემატკივარი დაესწრო და ისინი საყვარელი გუნდის სტადიონიდან გაცილების შემდეგ ზესტაფონისკენ დაიძრნენ. თბილისიდან დაბრუნებულ ავტობუსების, მიკროავტობუსებისა და მანქანების კოლონას ზესტაფონის ქუჩებში ათასობით ადამიანი შეეგება. დამის 2-3 საათისთვის კი მოზეიმეთა დიდი ნაწილი ქუჩებიდან ზესტაფონის ცენტრალური სტადიონისკენ გაემართა გუნდის დასახვედრად. ნანატრი თასით ხელდამშვენებულ „ზესტაფონს“, რომელიც დაახლოებით 4.30 საათზე დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, ცენტრალურ სტადიონზე 500-მდე ერთგული გულშემატკივარი დახვდა. ფეხბურთელებისა და ფანების შეხვედრა, ცხადია, ემოციებით იყო აღსავსე. ზეიში დილის 7 საათამდე გაგრძელდა...

ბახა ზალაგზარიძე სე „ზესტაფონის“ პრესსამახურის ფოტოები



# სათასო ლიგა და ქართველობა ფინალმა მხოლოდ მანჩესტერ ბაიერნი



ნუკრი მანჩესტერ (მარჯვნიდან მეორე)

**მორიზი** ლიტუური ტიტული მითვალა „კაუნასმა“ და მისმა ქართველობამ — გივი კვარაცხელიამ, ნუკრი მანჩესტერ და აკაკი ხუბუტიამ.

„კაუნასმა“ ქვეყნის თასის ფინალურ მატჩში 2:1 მოუგო „ვეტრას“. არადა, კაუნასელები თავიდან აგებდნენ, თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრეს, მატჩის ბოლოს კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს.

ქართველთაგან ამ მატჩში მხოლოდ მანჩესტერ ითამაშა.

**მიხეილ შოკოლიანი**

## კალაქე ულიგოდ დარჩა დარიბი ქართული უქმეები

**ბუშინ** ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანაში მოილიეს ჩემპიონატი... ბევრმა გუნდმა სასურველ ადგილზე დაამთავრა სეზონი, ბევრმა ცრემლი ღვარა, ბევრისთვისაც ბოლო ტური ფიქტურული იყო... თუმცა ჩვენ ქართველი ლეგიონერების ამბებზე ვთქვათ — თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ დარიბი უქმეები გამოუვიდათ...

„მილანი“ ჩემპიონთა ლიგის გარეშე როგორ წარმოვიდგენიათ? კახა კალაქე და მისმა გუნდმა შინ „უდინეზე“ 4:1 წააღიეს, მაგრამ რად გინდა, „ფიორენტინამაც“ იმარჯვა „ტორინოსთან“ და „როსონერი“ უეფას თასზე გაუშვა.

კალაქე უდინელებთან შეუცვლელად ითამაშა.

გერმანულ ბუნდესლიგაშიც ბოლო ტური იყო. „შალკემ“ სტუმრად 2:0 სძლია „ნიურნბერგს“, მაგრამ მეორე ადგილზე მაინც ვერ გავიდა და ჩემპიონთა ლიგის ვეჯუფურ ეტაპზე გასასვლელად ერთი ბარიერის გადალახვა მოუწევს.

ლევან კობიაშვილმა სრულად იბურთავა, თუმცა დიდად აღსანიშნი არაფერი გაუკეთებია.

აი, ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუე“ კი „ჰამბურგთან“ 0:7 შერცხვა და მეტერთმეტე ადგილზე დაასრულა ბუნდესლიგა.

იაშვილი 90 წუთი მინდორზე იყო. ჩვენი ბუნდესლიგელების სეზონურ მონაგარზეც ვთქვათ: კობიაშ-

ვილის ანგარიშზე ერთი გოლი (პირველ ტურში) და ერთი საგოლე პასია, იაშვილს კი გოლი არ შეუგდია, თუმცა 7 საგოლე გადაცემა მოაგროვა და ბუნდესლიგაში მე-12 ადგილზე გავიდა, „კარლსრუეში“ კი ამ მაჩვენებლით საუკეთესოა.

მეორე ბუნდესლიგაში, უკვე მივეჩვიეთ, ბოლო ტურებში მხოლოდ „კარლ ცაისის“ ილია კანდელაკი თამაშობს, თუმცა გუშინ „აუსბურგთან“ (1:1) ბოლომდე ვერ ჩაამთავრა მატჩი — 75-ე წუთზე გააძევეს. კანდელაკის, გიორგი სეთურიძისა და გიორგი ონიანის „კარლ ცაისი“ ბოლო ადგილზე გავიდა.

უკრაინაში ბოლო ტურმა დონეცკის „შახტარი“ გააჩემპიონა, ქართველები კი... ისევ კანტიკუნტად გამოჩნდნენ მინდორზე. მხოლოდ დნიპროვლმა ჯაბა კანკავამ და ზარიელმა გიორგი ციმაკურიძემ ითამაშეს, დანარჩენები კი, ზოგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ზოგიც განაცხადით ვერ მოხვდა.

ლატვიაში „სკონტომ“ შინ 0:3 წააგო თამაშ პერტის გაწვრთნილ „დინაბურგთან“.

პერტისა გუნდი ლიდერია, რაც სუპერსენსაციას, სკონტოელთა ქართველებიდან კი დავით გამეზარდაშვილმა და ლადო დვალისვილმა ითამაშეს.

ზურაბ მენთეაშვილმა მხოლოდ პირველი ტაიმი იბურთავა „ვენტს-

პილს“ — „ოლიმპიას“ (0:0) შეხვედრაში.

ჩეხური „მლადა ბოლესლავის“ მეორე გუნდში საუკეთესო იყო გიორგი განუგრავა, ვინც „ლიბერეცის“ დუბლებთან (3:1) ორი საგოლე პასი მითვალა.

ქართველი 76-ე წუთზე შეცვალეს, იქამდე გაფრთხილებაც მიიღო. „ციურიხის“ 21-წლამდელებში გიორგი ივანიშვილმა 60 წუთი იბურთავა, ჩვენიანის გუნდმა კი „რედ სტართან“ 0:1 დათმო.

ბოლო ტური იყო ირანშიც, სადაც ჯაბა მუჯირის „სეპაჰანმა“ საჩემპიონო მატჩი წააგო „პერსოპოლისთან“ — 1:2.

ჯაბას გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა და ბოლოსდა ჩაყარა ყველაფერი წყალში.

რუსეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერია „ანჟი“, რომელმაც შინ 2:1 სძლია როსტოვის სკა-ს. გადამწყვეტი გოლი 73-ე წუთზე მიხეილ აშვეთიაძემ გაიტანა.

აზერბაიჯანში კი ორი ქართული გოლი გავიდა: „ბაქის“ ამირან მუჯირმა „აბნ-ბარდას“ გაუტანა, მისიანები კი 4:0 იმარჯვეს. „ქარვანის“ რომან ახალკაცმა კახა ჩხეტიანი-დავით ბოლქვაძის „სიმურგის“ საჯარიმო დარტყმით გაუტანა, მატჩი კი 1:1 დასრულდა.

ჩხეტიანმა ტრავმა მიიღო და ნაადრევად დატოვა მინდორი.

**ილია ნანოზაშვილი**



ვაჟა თარხნიშვილი

გიორგი ლიგა

## დვალის ბოგბარდობა თარხნიშვილთან დაიპარა

**ტირასპოლის** „შერიფი“ და მისი კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი ზედიზედ მერვედ მოლოდინის ჩემპიონი რამდენიმე ტურით ადრე გახდნენ, თუმცა ბოლოს კიდევ ერთი ქართული ტიტულის მოლოდინში ვიყავით — „დაჩიას“ თავდამსხმელი ჯაბა დვალი ერთი ბურთით ჩამორჩებოდა ბომბარდირთა დავაში შერიფელ იგორ პიკუსის და შანსი ჰქონდა, მოლოდინის ჩემპიონატის ბომბარდირი გამხდარიყო.

„დაჩიამ“ შინ 2:0 მოუგო კიშინიოვის „დინამოს“ და დვალმაც გაიტანა, რითაც გაუთანაბრდა პიკუსის, თუმცა შერიფელი „ცსკა-სტი-

აუსთან“ (7:1) მატჩში 89-ე წუთზე გამოირჩა და...

პიკუსმა 14 გოლი 28 მატჩში გაიტანა, დვალმა კი 24-ში დააგროვა 13. „ჩემპიონები“ უკვე ვიყავით, მაგრამ გვსურდა, სეზონი კარგ ხასიათზე დაგვესრულებინა. მოხარული ვართ, რომ ეს შევძელით და გულშემოტკივარიც კარგი განწყობით გუშვით სახლში. იმედი მაქვს, მთლიანად მომდევნო სეზონებშიც მივინჯებით“ — განაცხადა „შერიფის“ 37 წლის კაპიტანმა თარხნიშვილმა, რომელიც კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს.

**მიხეილ შოკოლიანი**

## ქვეყანაში თასი ვერ მიიპაბა

**პვიპროსულ** ოქროს სეზონში დუბლის შესრულება შეეძლო თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ „ანორთოსისს“, თუმცა ფამაგუსტელებმა ქვეყნის თასის ფინალში 0:2 წააგეს ნიქოზის „პაოვლთან“.

ქეცბაიას გუნდმა სეზონი მხოლოდ ჩემპიონობით დაასრულა...

**მიხეილ შოკოლიანი**

## გიორგი ალაშია: თუკი ნაპალ, არ ბაბიკვირდეთ

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, ბაქოს „ნეფთჩი“ მესამე ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩება „ინტერს“. არადა, ბაქოელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეეძლოთ, თუმცა ბოლო ორ მატჩში ორი უგოლო ფრე ითამაშეს და ახლა მხოლოდ ბრინჯაოს მოპოვებაა შეუძლიათ.

აგდამის „ყარაბახთან“ მატჩის შემდეგ „ნეფთჩის“ ქართველ ლეგიონერ გიორგი ალაშიას აზერბაიჯანელი ჟურნალისტები არა მარტო მატჩზე, სამომავლო კონტრაქტზეც ესაუბრნენ...

„როგორც ყოველთვის, უპირატესობას ახლაც ჩვენ ვვლობდით, უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმცა ვერ გამოვიყენეთ. მტკივნეულია, მაგრამ ძალიან ცოტა გავაკვს. რამდენჯერ არ უნდა გავვიმართლოს, ვერ ვხვდები... სამწუხარ-

ოდ, კრიზისისგან დაზღვეული არა ვიყავი. ასეთი რამ გრანდებსაც ემართებათ, თუნდაც „ბარსელონას“ მაგალითი ავიღოთ... არა უშავს, სამომავლოდ მოვემზადებით“.

ითამაშებს თუ არა სამომავლოდ ადამია „ნეფთჩიში“, საკითხავია. ჩვენებურს სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი და, როგორც ამბობენ, მისი გადაბირება ბაქოს „ინტერს“ სურს...

„ივინისიდან თავისუფალი აგენტი ვარ. სავარაუდოდ, კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება მექნება. რაც შეეხება „ინტერის“ ვარიანტს, მეც საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვე ყველაფერი „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობაზე და მოკიდებული. მე ფეხბურთელი ვარ და არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ უფრო მისაღებ წინადადებას დავთანხმდები“.

**მიხეილ შოკოლიანი**



## გიორგი ფოფხაძე: ვიბორგის ფანთა ჩჩეული



**ბუშინ** „რანდერსთან“ წაგებული 0:1-ის შემდეგ გიორგი ფოფხაძეს სპეციალური პრიზი გადასცეს: „ვიბორგის“ ფანების გამოკითხვით, ამ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი 22 წლის ქართველი მცველი გახდა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენად კარგად უნდა ეთამაშა ფოფხაძეს, რომ ეს პრიზი აეღო — დანიის უმაღლესი ლიგისგან გავარდნილმა გუნდმა ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი გაუშვა და ასეთ დროს მცველს აღიარებენ საუკეთესოდ.

„ფოფხაძე „ვიბორგის“ ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელია და ტაქტიკურადც განვითარებულია“ — წერს დანიური პრესა.

გიორგი ძალიან გახარებული ყოფილა ამ აღიარებით...

„ვამაყობ, რომ ასე დამაფასეს. მინდა, „ვიბორგის“ ყველა გულშემოტკივარს ვუთხრა, რომ ისინი ძალიან მიყვარს. წარმომიდგენია, როგორ გაუხარდებათ ჩემს ოჯახში და მეგობრების წრეში, როცა ამ პრიზით გამოვჩნდები“.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველს დანიური უმაღლესი ლიგის ორი გუნდი ეპატივება და არ არის გამორიცხული, ჩვენიანმა კლუბი შეიცვალოს.

საქმეს ის თუ გართულებს, რომ ფოფხაძეს ზანგრძლივი კონტრაქტი აქვს „ვიბორგთან“.

**ილია ნანოზაშვილი**



# ლიბერი უპიდასამ გადადო აკადემია ჩხუბში დაღეღოვდა

ლელო 21:17 აკადემია

ლელო: 2ლ: ზალიშვილი, ცერცვაძე; 1გ: ჯოგლიძე; 3ს: ჯოგლიძე

აკადემია: 2ლ: დავითაშვილი, ნასიძე; 2გ: ხუბუნეიშვილი; 1ს: ხუბუნეიშვილი

უნივერსიტეტი 25:18 დინამო

უნივერსიტეტი: 3ლ: ლუკა კილაშონია, კალთიძე, ფერაძე; 2გ: ბაირამაშვილი; 2ს: ბაირამაშვილი

დინამო: 3ლ: სვანიძე, ონიანი, გუნდური; 1ს: ღირსიაშვილი

არმაზი 11:29 აია

არმაზი: ჩხაიძე, ხინთიბიძე, თათარაშვილი, კაიფაჯიანი, მინაშვილი; ჯავარაშვილი, მუხამბაძე, ცირეკიძე, მაჭარაძე, კანდელაკი, ჯვარიძე, ჯიშკარიანი, მუხამბაძე, სოსელია, ბუკია

შეცვლაზე შევიდნენ: ძნელაძე, კიკლაშვილი, ჯავახიშვილი

1ლ: სოსელია; 1ს: ჯავარაშვილი; 1ა: ჯავარაშვილი

აია: სორდია, შალამბერიძე, ჩხიკვაძე, ბალანჩივაძე, გოგლიძე; სინაურიძე, როსტომიძე, ძაგნიძე, კანკაძე, ჩიქვინიძე, ლომიძე, ცაცეროვი, ტორიძე, სულუხია, გვენაძე

შეცვლაზე შევიდნენ: გელაგა, ყუბანიშვილი, ფრუიძე, ხარატიშვილი, როსტომიძე, გიორგაძე

4ლ: ჩიქვინიძე (2), ჩხიკვაძე, სორდია; 3გ: სინაურიძე, სორდია, გუდავა; 1ს: სინაურიძე

საპარტიველოს ჩემპიონატის მესამე ტურის ბოლო მატჩი „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე გაიმართა „არმაზს“ და ქუთაისის „აიას“ შორის. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ქუთაისელთა რიგებში ითამაშა საქართველოს ნაკრების მელელოვმა ირაკლი ჩხიკვაძემ, პირველი ლელოც მან გაიტანა და ზოგადად ქუთათურებმა ხაზზე კარგად რომ ითამაშეს, მეტწილად მისი დამსახურებაა.

მატჩი „არმაზის“ უპირატესობით დაიწყო. „შეყვითლები“ ძალუმად უტევენ და სალელოვე შანსიც ჰქონდათ, მაგრამ დაცვის გარდევვა ვერ შეძლეს და საჯარიმოს დასჯერდნენ, რომელიც ჯავარაშვილმა ვერ გამოიყენა. „არმაზის“ უპირატესობამ საწყისი 10 წუთის განმავლობაში გასტანა. შემდეგ ნელ-ნელა „აია“ იგდო ხელთ თამაშის სადავები, რასაც ჩხიკვაძის მე-18 წუთზე გატანილი ლელო მოჰყვა. მრავალჯერადად შეტევა აუტის ხაზთან რაქში ჩაიშალა. გამოტანილმა ბურთმა კი სამი ქუთაისელის შემდეგ ჩხიკვაძე მოძებნა. მანაც უსწრაფესად გაარღვია მეტოქის დაცვის ხაზი და ლელო გაიტანა. სინაურიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა — 7:0.

პირველ ნახევარში გუნდურმა მეტი ვერაფერი შეძლეს. ჯავაგურით ბრძოლაში და ბურთის აქეთ-იქით ჩაკიდებაში გაიარა შესვენებამდე

დრომ. მეორე ტაიმში „არმაზმა“ მეორე წუთზე გატანილი საჯარიმოს მალე არეკინც მიაყოლა და ქულათა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 6:7. „აია“ უცებ მოეგო გონს. სინაურიძის საჯარიმომ ოთხი ქულით დაამორა მეტოქე ერთმანეთს. მე-20 წუთზე სინაურიძის მიერ დაკიდებულ ბურთს ჩიქვინიძე დაეუფლა და მეორე ლელო გაუტანა მოწინააღმდეგეს — 6:15. აქვე არმაზელი კანდელაკი ათი წუთით გააძევეს მატიდან. რითაც უმალ ისარგებლეს სტუმრებმა. ჩხიკვაძემ დრიბლინგს დაცვის მომტეხი პასი მიაყოლა და სორდიას ისღა დარჩენოდა, რომ სალელოვედ ერბინა. ამჯერად გარდასახვა თავად ლელოს ავტორმა გამოიყენა - 6:22. თამაშის დამთავრებიდან ხუთი წუთით ადრე ისევ ქუთათურებმა უწიეს მიზანს. „აიას“ შერკინება მოეჯარა მეტოქის ლელოს და მორიგი ხუთი ქულაც ისევ ჩიქვინიძემ მიითვალა. „არმაზმა“ კარის გაჯახუნება მაინც შეძლო. მასპინძლებმა შერკინების წყალობით გაიტანეს ლელო, რომელიც სოსელიას ანგარიშზეა. გაცუდებულ საჯარიმოს მსაჯმა სასტვენიც მიაყოლა და მე-3 ტურიც ამით დასრულდა.

წინა დღით კი ორი მატჩი ჩატარდა. ცხრილის მეორეაღმდეგოსანამ „ლელომ“ რაგბისთვისაც კი ხისტმატჩში „აკადემია“ დაამარცხდა და ქართული კლუბების ელიტართა ამქარს თავში წაქოასკუდა. ისე, „ლე-

ლოს“ ლიდერობა ალბათ დროებითა, რაკი შინაური რაგბის მუდმივი ფავორიტი „ლოკომოტივი“ და მისი პრიციპული მეტოქე თბილისის „ყორები“ ამ უქმეებზე ისვენებდნენ. უფრო კონკრეტულად კი, ამ ორმა კლუბმა თავიანთი ძირითადი მოთამაშეები შეიკაცა ნაკრებში მიავლინეს, ამიტომ საქართველოს რაგბის კავშირმა ტურის მთავარი მატჩი გადადო.

რაც შეეხება „ლელო“ — „აკადემიის“ შეხვედრას, იქ კვანძი ბოლოსკენ გაიხსნა, როდესაც ლელოელებმა ბოლო შეტევით მეტოქე დააღლეოვეს და საქმე იქვე მოუმიტარეს. იქამდე კი გვარიანი ჩხუბიც ატყდა. მუშტი-კრივმა და დაკა-დაკამ წუთ-ნახევარს გასტანა და ამით მოისერებამაც ისერიეს. მერე კი ნადდი რაგბი იყო, რაც საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმაც იხილა.

შაბათს მეორე შეხვედრაში „უნივერსიტეტმა“ თანაბარ ბრძოლაში მოუგო „დინამოს“, რომელიც შარშანწინ საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტი იყო, მაგრამ მას აქეთ ძალიან დასუსტდა და ეს გუნდის თამაშსაც ეტყობა.

### ზურაბ მიგრიაული

ლელო	3	0	0	88:44	6
უნივერსიტეტი	2	1	0	51:39	5
ლოკომოტივი	2	0	0	67:27	4
ყორები	1	0	1	35:25	2
აია	1	1	1	57:60	3
არმაზი	0	0	3	36:68	0
დინამო	0	0	3	49:78	0



სადრე კაითილასის ფოტო

## პოლონეთაღე ჰაინაქანი


24-25 მაისს პოლონეთში ევროპის შეიკაცა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გაიმართება, რომელზეც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. პოლონეთამდე „ლელოები“ ამსტერდამში ჩავიდნენ და „ჰაინაქანის“ ამსტერდამის შეიკაცაზე გამოვიდნენ. ტურნირი ქართულმა ამქარმა ორი მოგებით დაიწყო. ჩვენებმა ჯერ დუბაის გუნდი დაამარცხეს 24:0, ხოლო შემდეგ პოლანდიელები გაანადგურეს — 42:0. მესამე მატჩი კახა ალანას შევირდებმა „შტონედ უპსთან“ წააგეს 10:33. ტურნირის ბოლო შეხვედრაში კი ქართველებმა გერმანულ გუნდთან 67:0 მოიგეს, მაგრამ პირველი ადგილი მაინც ვეღარ დაიკავეს.

„ამსტერტამის“ შეიკაცა“ ყოველ წელს იმართება. მასში 60 გუნდი მონაწილეობს. საერთო ჯამში ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა 25 ლელო გაიტანა და მხოლოდ 5 გაუშვა. ჩვენებმა შეჯიბრება პოლონური ეტაპისთვის მოსამზადებლად გამოიყენეს.

### ზურაბ მიგრიაული



სადრე კაითილასის ფოტო



ჰაყუხო (მარცხნივ) კვლავაც დაუმარცხებელია

## კოკაიმ ნავსი კვირას გატეხა

ბასულ უქმეებზე მაისის ბაშოს მეშვიდე და მერვე ორთაბრძოლები გაიმართა. კვლავ დაუმარცხებლები არიან მონდოლი იოკოტუნა ჰაყუხო და ბულგარელი ობეკი კოტოსიუ. თითო-თითო წაგება აქვთ ლეგენდარულ იოკოტუნა ასასორიუსს და დასავლეთის მე-5 მავგამირა ტინინსიმას. ლევან ცაგურიამ კი კვირის შეხვედრაში პირველად იმარჯვა.

შაბათის ორთაბრძოლებში კოკაიდ წოდებული ცაგურია კომოსუბი ასასეკირიუსს შეხვდა და სიტატენაგეთი დაამარცხდა. იმავე დღეს ლევან გორგობე, ანუ ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მე-15 მავგამირა ჰაკუროზანს დაეჭიდა და იორიკი-

რით მოუგო. შაბათსვე დიდი ჩემპიონი ასასორიუსს ნადავლი დასავლეთის მესამე მავგამირა კაკურიუ გახდა. ჰაყუხო და კოტოსიუმ, შესაბამისად, აღმოსავლეთის მე-3 მავგამირა მიაბამასა და კომუსუბი კისენოსატოს მოუგეს.

კვირას კოკაიმ მაისის ბაშოზე თავისი პირველი გამარჯვება ობეკი ტიეტაკაის წაგლიჯა. ჩვენებურმა მეტოქეს საფირმო ცუპარებით მოუგო. ტოჩინოშინმა მერვე შეხვედრა დათმო აღმოსავლეთის მე-12 მავგამირა ტოსანოუძისთან. გორგობე ცუკიოტოსით დაამარცხდა. ასასორიუმ იორიკი ჩაუტარა აღმოსავლეთის მე-4 მავგამირა ტოკიტენუსს. ჰაკუხომ სიტატენაგე აწე-

ნა კისენოსატოს, ხოლო კოტოსიუმ იორიკით მოუგო ობეკი კაიოს.

შემდეგ ორთაბრძოლებში ასასორიუ სეკივაკე ამას შეხვედრა, ჰაკუხო კაკურიუსთან იჭიდავეს, კოტოსიუ კი ტოკიტენუსს დაუხვდებდა. ლევან ცაგურია ხუთი მოგების პატრონ კომოსუბი კისენოსატოსთან გამოცდის ძალებს. ტოჩინოშინი ექვსი ორთაბრძოლის მოგებ აღმოსავლეთის მე-11 მავგამირა ივაკიამას დაუპირებს წაქცევას.

გეტყვიტ, რომ კოკაის რვა შეხვედრიდან ოდენ ერთი გამარჯვება აქვს. მაკუჩი დივიზიონის დებიუტანტ 20 წლის ლევან გორგობეს კი ოთხი გამარჯვება მოუგროვდა.

### ზურაბ მიგრიაული











# სარკიელი & კროკო

## ნარკობიღბათ

1 X 2 1-X 1-2 X-2								1 X 2 1-X 1-2 X-2							
<b>შოტლანდია</b> <b>პრემიერლიგა</b> 19 მაისი 18:00 2 სტ.მირენი-რეინჯერსი 7.50 5.00 1.25 3.00 1.07 1.00								<b>ამხანაგური მატჩები</b> 19 მაისი 14:00 200 რუსეთი-სერბეთი 2.00 3.20 3.30 1.23 1.24 1.62 22:15 201 საბერძნეთი-კვიპროსი 1.20 5.20 10.00 1.00 1.07 3.42 22:15 202 თურქეთი-სლოვაკეთი 1.65 3.30 4.80 1.10 1.22 1.95							
სლოვენია 19 მაისი 19:00 169 ლუბლიანა-დომუალე 2.80 3.20 2.25 1.49 1.24 1.32								23 მაისი 12:00 204 ავსტრალია-განა 1.00 14:00 205 რუსეთი-ყაზახეთი 1.07 7.00 16.00 1.00 1.00 4.86							
<b>ნორვეგია</b> <b>ტიპელიგა</b> 19 მაისი 20:00 76 პამ კამი-სტრიომსგოდსეტი 2.20 3.30 3.00 1.32 1.26 1.57								24 მაისი 14:00 206 პოლანდია-უკრაინა 1.55 3.40 5.80 1.06 1.22 2.14 20:00 207 შვეიცარია-სლოვაკეთი 1.65 3.30 4.60 1.10 1.21 1.92 22:00 208 ხორვატია-მოდლოვა 1.08 7.00 15.00 1.00 1.00 4.77 22:00 209 უნგრეთი-საბერძნეთი 2.85 3.20 2.25 1.50 1.25 1.32 22:30 210 ირლანდია-სერბეთი 2.25 3.10 2.85 1.30 1.25 1.48							
<b>ფინეთი</b> 19 მაისი 19:30 100 ჰიე-ტამპერე 1.90 3.20 3.80 1.19 1.26 1.73								25 მაისი 14:00 211 თურქეთი-ურუგვაი 1.90 3.20 3.45 1.19 1.22 1.66							
<b>ისლანდია</b> 19 მაისი 18:00 115 კოპავოგური-კეფლავიკი 3.50 3.20 1.90 1.67 1.23 1.19 18:00 116 ფილკირი-ვალური 3.50 3.20 1.95 1.67 1.25 1.21 18:00 117 ტროტური-პაფნარფორდური 6.40 3.80 1.45 2.38 1.18 1.04								<b>ხელბურთი. კატები</b> <b>ავსტრიის ჩემპიონატი</b> 19 მაისი 22:15 171 ბრეგენცი-ფივერზი 1.25 10.00 4.10 1.11 1.00 2.90							
20 მაისი 18:00 118 გრინდავიკი-ფიოლნირი 2.25 3.10 2.85 1.30 1.25 1.48 18:00 119 აკრანესი-ფრამი 1.80 3.20 3.75 1.15 1.21 1.72 18:00 120 რეიკიავიკი-ბრეიდაბლიკი 1.85 3.20 3.65 1.17 1.22 1.70								<b>ხელბურთი. კატები</b> <b>დანის ჩემპიონატი</b> 20 მაისი 22:15 173 სვენდბორგი-ფტკ 1.90 8.50 2.10 1.55 1.00 1.68							
<b>ჩემპიონთა ლიგა</b> 21 მაისი 22:45 1 მანჩესტერი-ჩელსი 2.40 3.00 3.20 1.33 1.37 1.54								<b>შერეული</b> 19 მაისი 20:00 170 პონვედი-ვაშაში(უნგ) 1.80 3.30 3.85 1.16 1.22 1.77							

I ტაიმის შედეგი						
	1	X	2	1-X	1-2	X-2
10001 მანჩესტერი-ჩელსი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20

I ტაიმი/პირითადი დრო									
	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001 მანჩესტერი-ჩელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

რომელ ტაიმში გავა მათი გოლი		
	I-ში	II-ში
28001 მანჩესტერი-ჩელსი	3.00	2.80

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (პირითადი დრო)	
ნა.	მეტ.
26001 მანჩესტერი-ჩელსი	1.90 ---- 1.70

რომელი გუნდი გაიტანს მატჩში ანაბარის (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი ვაგაპულად ჩაითვლება)	
27001 მანჩესტერი-ჩელსი	1.85 ---- 1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (პირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)		
	2,5	1,50 ---- 2,50
32001 მანჩესტერი-ჩელსი	2,5	1,50 ---- 2,50

იქნება თუ არა მატჩში კენალტი (პირ. დრო)	
21001 მანჩესტერი-ჩელსი	3.00 ---- 1.20

გოლი: ყვირილი-10უ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვირილად)	
29001 მანჩესტერი-ჩელსი	1.85 ---- 1.95

**გაიხსნა ხროჯოს ახალი ფილიალი მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 №3. II სართ. შესაძლო ცვლილება დააზუსტეთ ადგილზე**









პრეზონი ელიტის მიღმა შოთა ფეხბურთიდან „ბერნაბეუმი“ გააცილა



სერხიო რამოსმა „სანტიაგო ბერნაბეუში“ სენთონის ბოლო გოლი გაიტანა

მსკანეთი პრიმერადივიზიონი XXXVIII ტური

Table of football results and scores for the 38th round of the Spanish Primera División. It lists match numbers, teams, and final scores (e.g., Real Madrid vs Athletic Bilbao).

Table detailing player statistics for the 38th round. It lists player names, teams, goals scored, and other performance metrics.

Table of top scorers (პირველი სკორერი) with columns for player name, goals, and teams.

Table of top assists (პირველი ასისტენტი) with columns for player name, assists, and teams.

სეზონის საუკეთესო

Table listing the best players of the season with columns for player name, goals, and assists.

Main article text discussing the season's performance, mentioning player statistics like Raúl's 40 goals and the relegation of certain teams.

Continuation of the main article text, discussing league dynamics, team strategies, and the overall state of the competition.

Table of top scorers for the season (სეზონის საუკეთესო) with columns for player name, goals, and assists.

Table of top assists for the season (სეზონის საუკეთესო) with columns for player name, goals, and assists.



